პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 მაისი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 98 (9509) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

...ვაზროვნოთ
...დადებას!

## საცურაო აუზი — კოოპერატორებს

ამ დღეებში რამდენიმე ხელმძღვანელ ინსტანციაში ანალიტიკური მხჯელობა გაიმართა რესპუბლიკაში ცურვის მდგომარეობისა და მისი მატერიალურ-სპორტული ბაზის განვითარების საკითხებზე. კიდევ ერთხელ გამოიკვეთა არასახარბიელო სურათი: რესპუბლიკაში საცურაო აუზების უმრავლესობა არც ამჟამად მუშაობს. 30 სასკოლო აუზიდან საერთოდ არ მუშაობს 18. აქედან თბილისში 18-იდან — 9. მთავარი მიზეზია უყურადღებობა, შტატების უქონლობა, აუზების ტექნიკური გაუმართაობა.

დღეს, როცა ასე ფართო გაქანებას იღებს კოოპერატივების საქმიანობა, რატომ არ შეიძლება, თუნდაც ექსპერიმენტის სახით, დედაქალაქის ერთ-ერთი რაიონის ან ყველა, ან ერთი-ორი სასკოლო აუზი გადავცეთ კოოპერატივს? თუკი კოოპერატივში შევლენ ცურვისა და აუზის ექსპლოატაციის მცოდნე ტექნიკური მუშაკები, ამით, ვფიქრობთ, მხოლოდ საქმე მოიგებს, აღმოიფხვრება ის უამრავი წვრილმანი ნაკლი, რაც აუზების გამართულ მუშაობას აფერხებს.

რა სიკეთეს მოუტანს სკოლას კოოპერატივი? დილის 9-იდან 15 საათამდე აუზში ჩატარდება ცურვის გაკვეთილები (წყალი სკოლას უსასყიდლოდ დაეთმობა), გაკვეთილების შემდეგ კი (15 საათიდან) და დილით 9 საათამდე აუზი სააბონემენტო ჯგუფებს, მოსახლეობას მოემსახურება და ხარჯებს აანაზღაურებს (ცხადია, მათ შორის კოოპერატორთა შრომასაც).

არის თუ არა ეს წინადადება მისაღები? რას იტყვიან განათლებისა და სპორტსახკომის შესაბამისი სამმართველოების ხელმძღვანელები? როგორი იქნება ცურვის რესპუბლიკური ფედერაციის აზრი?

ველით პასუხს.

ველით გამოხმაურებას მათგანაც, ვინც ასეთ კოოპერატივში მუშაობას მოისურვებს.

მოგვწერეთ!



ორშაბათს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის 50-ე ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრა — თბილისის „დინამომ" ერევნის „არარატს" უმასპინძლა. დინამოელთაგან ამ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ზაზა რევიშვილი, რომელსაც სურათზე ხედავთ ბურთისთვის ბრძოლის მომენტში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



17 მაისი — ქართული ჭიდაობის დღე. ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული სპორტის სამკვიდროა, ქართული ჭიდაობის დღე — ჩვენი სპორტის გამორჩეული დღესასწაული. აგერ უკვე მეექვსე წელია ეს დღე აღინიშნება საქართველოში, მეექვსე წელია ქართული ჭიდაობის ტრადიციის აღორძინება საერთო-სახალხო საქმედ გამოცხადდა. ყველაფერი ასე დაიწყო: ჩვენი ჭიდაობის ვეტერანებმა, სახელოვანმა ფალავნებმა საზოგადოებრიობას მიმართეს: „მოდით, დავაწესოთ ქართული ჭიდაობის დღე, შევარჩიოთ შესაფერისი დრო და მოვემზადოთ საფუძვლიანად, განვაახლოთ და მოვაწყოთ ახალი საჭიდაო მოედნები, უბანი უბანს შევაჯიბროთ, სოფელი — სოფელს, ქალაქი — ქალაქს... საფუძველი ჩავუყაროთ კარგ ტრადიციას".

ასეც მოხდა!

## მასპინძელი — მთელი რესპუბლიკა

ძველი თბილისი, რიყე. აქ არის მოწყობილი „რესპუბლიკის მთავარი საჭიდაო მოედანი". ნაირფერი დროშებით და პლაკატ-ლოზუნგებით დაუმშვენებიათ აქაურობა, საზეიმოდაა მორთული რიყეს ვეებერთელა ტერიტორია. 11 საათზე ჭიდაობა იწყება. სარბიელის გარშემო უკვე ბლომად მოგროვილა ხალხი — ქართული ჭიდაობის გულშემატკივრები და დამფასებლები. მთელ რიყეს სწვდება ინფორმატორის ხმა: „გამარჯობათ, მეგობრებო, ქართული ჭიდაობის დღეს გილოცავთ. ამ ზეიმს დღეს მთელი საქართველო მასპინძლობს. მთელი საქართველო იცნობს ბეჭდაუდებელ ფალავნებს — სანდრო კანდელაკსა და დათა ხიზამბარელს, კულა გლდანელსა და ნესტორ ესებუას, იაკობ ეგნატაშვილსა და კოსტა მაისურაძეს, შაშო ვერელსა და ზაქრო ბაკურაძეს... სხვებსა და სხვებს. ისინი ბევრნი არიან — ქართული ჭიდაობის კორიფეები და ვირტუოზები. მათ გზას ბევრი მუხლმაგარი ჭაბუკიც გაჰყვა. ჭიდაობა ჩვენი სპორტის დედაბოძად იქცა..." ინფორმატორის სიტყვა

იხ. მე-2 გვ.

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, 18 მაისს დაიწყო და 24 მაისს დამთავრდება ველოსპორტის მოყვარულთა საკავშირო კვირეული. კვირეულის მაღალ დონეზე ჩასატარებლად კარგად მოემზადნენ რესპუბლიკის ცალკეული ფიზკულტურული ორგანიზაციები, სპორტული ბაზები



სურათებზე თქვენ ხედავთ თბილისში, სპორტის სასახლის ტერიტორიაზე გამართული ღონისძიების ფრაგმენტებს. წარსულში ცნობილი ველომრბოლელი ომარ ფხაკაძე (ქვევით) ჯილდოს გადასცემს ბავშვთა შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.





გრძელდება თბილისისა და რესპუბლიკის რაიონების მძლეოსანთა ბრძოლა საქტელერადიოს პრიზისთვის. ასპარეზობა ჩვენი დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე — საფეხბურთო მატჩების ტაიმებს შორის შესვენებაზე იმართება.

18 მაისს სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის ორჯონიკიძის, ახალქალაქის, ხობის, ცხინვალის, ტყიბულის, ჭიათურის, ქარელისა და ახმეტის რაიონების წარმომადგენლები. მათგან შეჯიბრების მომდევნო ეტაპზე — მეოთხედფინალში გავიდნენ ქარელის, ახმეტის, ჭიათურისა და ცხინვალის წარმომადგენლები.

## ვულოცავთ!

**სსრ კავშირის** კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სპორტსახკომმა შეაჯამეს 1986 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები — გამოავლინეს ქვეყნის საუკეთესო სპორტული ბაზები და ნაგებობები. გამარჯვებულთა შორისაა თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი (დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი).

• • •

**ფიზკულტურასა** და სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ამავე კომიტეტის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ვაჟა ვლადიმერის ძე ნუცუბიძე.**

### ინფორმაცია

**პეკინი.** აქ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ბადმინტონში. პირველი შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს საბჭოთა სპორტსმენებმა ვლადა ელიუტინამ, ირინა როუკოვამ, ვიქტორია პრონმა და სხვებმა.

## SOS სპორტსახკომის ინსპექცია გვატყობინებს

ამ დღეებში შემოწმდა სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩების წინ თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნელი შეკრების მიმდინარეობა.

გუნდს კარგი სპორტული ბაზა აქვს, მაგრამ სერიოზული დარღვევებია ორგანიზაციულ-მეთოდიკურ მუშაობაში, შემოწმების დღეს, მაგალითად, მეცადინეობა დაიწყო არა 17 საათზე, როგორც ეს ცხრილით არის გათვალისწინებული, არამედ ნახევარი საათით გვიან. ვარჯიშზე გამოცხადდა 12 სპორტსმენი. 6 სპორტსმენი, როგორც უფროსმა მწვრთნელმა გ. ბერიაშვილმა განმარტა, მეცადინეობას არ ესწრებოდა საპატიო მიზეზით. მეცადინეობაზე არ იყო ექიმი მ. კვაშალი. არ არის შედგენილი შეკრების გეგმა, სპორტსმენებს დღიურები არა აქვთ, შეკრების ჟურნალი კი მწვრთნელებს სახტუმროში „დარჩენოდათ".

მეცადინეობა ჩატარდა წინასწარ დასახული, გამიზნული გეგმის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასპინძელი — მთელი რესპუბლიკა

**დასასრული**

„საჭიდაოს" ხმაში ჩაიკარგა, ახლა დოლისა და ზურნის ხმა გადასწვდა რიყეს. წრეში პირველ წყვილს უხმეს.

შეჯიბრებაში ასამდე მოჭიდავე მონაწილეობს — ძირითადად პროფკავშირული სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები. ნელ-ნელა „გახურდა" ჭიდაობა, ოთხ წონით კატეგორიაში უნდა გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მაგრამ დღეს რიყე მარტო ქართულ ჭიდაობას როდი მასპინძლობს. მაგიდის ჩოგბურთი, ბაგირის გადაძალვა, სკეიტბორდი... იქვე, საჭიდაო წრესთან ახლოს ბიჭებს ლახტი გაუჩალებიათ. მოედნის თავზე წარწერაა: „ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგან ბრუნება შუბისა". ლახტში თბილისის 23-ე, 30-ე, 137-ე, 163-ე და 182-ე საშუალო სკოლების გუნდები გამოდიან. გასართობი პროგრამის ორგანიზატორებს — კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენლებს — ჭადრაკის მოყვარულებისთვისაც უზრუნიათ. ასფალტზე დახატულ „დაფაზე" განლაგებულ ვეებერთელა საჭადრაკო ფიგურებს ძლივს „უმკლავდებიან" თითისტოლა მოჭადრაკეები. „იმერულ" ეზოში კი ათამდე „ჩვეულებრივი" დაფაა გაშლილი. მომხიბლავი გოგონა სათამაშოდ ეპატიჟება გამვლელებს: „მობრძანდით კლუბ „ცაიტნოტში", ითამაშეთ ჭადრაკი".

...მთავარი ამბები მაინც საჭიდაო წრეში ხდება. აქ უკვე ნახევარფინალური შეხვედრები მიმდინარეობს. კარგად ჭიდაობენ ზაზა გაბროშვილი, ილია კეპულაძე, ბესიკ ნარიმანაშვილი, იოსებ ჯავახიშვილი. პირად შეჯიბრებას აბსოლუტური პირველობაც მოყვა. „რიყეს ფალავანი" გახდა დიდლილოელი ზაზა გურგულიანი... ბოლოს ერთი „ინტერნაციონალური" ბრძოლაც გაიმართა: ქართველ გურამ მეგრელიშვილის პირისპირ ყაზახი ალი აბდურაიმოვი დადგა. 1 წუთსა და 25 წამში წმინდად გაიმარჯვა მეგრელიშვილმა.

— ეს ყაზახი ყმაწვილი თბილისში სტუმრად ჩამოსულა, თავისუფალ ჭიდაობაში ოსტატობის კანდიდატი ყოფილა, — გვეუბნება შეჯიბრების მთავარი მსაჯი რობინზონ ნუსხელაძე, — გვთხოვა, მეც გავჭიდავეთო და უარს როგორ ვეტყოდით.

რობინზონ ნუსხელაძე ქართული ჭიდაობის ვეტერანი და საყვარელი სახეობის თავგამოდებული ქომაგია. თემქაში სწორედ მისი თაოსნობით მოეწყო მშვენიერი საჭიდაო.

— ჩვენთან ყოველ კვირას იმართება შეჯიბრებები. თემქელებმა დიდი ინტერესი გამოავლინეს ქართული ჭიდაობისადმი. ტურნირებს, როგორც წესი, ბევრი მაყურებელი ესწრება. უბნის ბავშვები ხალისით ვარჯიშობენ ჯგუფებში. მერე, ალბათ, ჭიდაობის სხვა სახეობებში გააგრძელებენ ვარჯიშს, მაგრამ მთავარია, რომ ქართული ჭიდაობის სკოლა გავლილი ექნებათ... „ჩემი მოჭიდავეები" აქაც მყავდა, კარგად გამოვიდნენ. ახლა თემქაში უნდა ავიდეთ. ხუთ საათზე იქ გვექნება დიდი ზეიმი.

რობინზონ ნუსხელაძეს თემქაში მიეჩქარება, ჩვენ კი „გეზი" სპორტის სასახლისკენ ავიღეთ. რეპროდუქტორის ხმა „მიგვაცილებს": „არა, ქართულ ჭიდაობას არ ეღალატება. მერე რა, რომ იგი ჯერჯერობით ვერ გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. სამაგიეროდ დიდ სარბიელზე გავიდა თვით ქართველი მოჭიდავე. გავიდა კისრულითა და სარმით, მოგვერდითა და შუაკაურით..."

სპორტის სასახლესთანაც უამრავი ხალხი ირევა. შეჯიბრება კარგა ხნის დაწყებულია, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შეხვედრას მივუსწარით. ამ ტურნირს, ცხადია, თავისი ჩემპიონები ჰყავს. 50 კგ წონით კატეგორიაში თბილისის 168-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ლერი ბერიანიძემ გაიმარჯვა. ეს-ესაა სამახსოვრო პრიზი გადასცეს.

— ჩემს წონაში ბევრი მონაწილე არ იყო, ამიტომ სულ ორჯერ ვიჭიდავე. ერთი შეხვედრა წმინდად მოვიგე, ერთიც — ქულებით. ხუთი წელია ძიუდოზე დავდივარ. მაგრამ ქართულსაც ვჭიდაობ.

სპორტის სასახლესთან მოწყობილ საჭიდაოზე 98-მა ნორჩმა ფალავანმა იასპარეზა. ორი გუნდი გამოიყვანა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებამ, ერთიც — საბურთალოს რაიონმა.

მერე უნივერსიტეტთან ავედით. იქიდან — თემქაში, გლდანში. ყველგან ზეიმი იყო, ქართული ჭიდაობის ზეიმი.



## კულა გლდანელის „წრეში"

**ვის არ გაუგონია ლეგენდარული ფალავანთა ფალავნის კულა გლდანელის სახელი. ამ ბეჭდაუდებელი მოჭიდავის ხსოვნის პატივსაცემად მის მშობლიურ გლდანში ხშირად იმართება შეჯიბრებები ჭიდაობაში.**

კვირას ჭიდაობის მოყვარულნი მრავლად შეიკრიბნენ საჭიდაო წრესთან. პატარა ბიჭუნები, როგორც სჩვევიათ, მაღალი ხეების კენწეროებზე ჩამოსხდნენ ჩიტებივით. შუადღისას აჭყვიტინდა ზურნა, რომლის გაბმული ხმა შებინდებამდე, საღამოს 7 საათამდე, არ შემწყდარა. ამ დღეს ნახერხმოყრილ სარბიელზე 47 წყვილი გამოვიდა სასპარეზოდ.

ბევრი სასიამოვნო წუთი განგვაცდევინა პატარების თუ მოზრდილი ფალავნების ჭიდაობამ, რისთვისაც მადლობის მეტი რა გვეთქმის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" თბილისის საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე — სპორტის ოსტატი ნანა ბალაშვილი) და მსაჯთა კოლეგიისადმი (ხელმძღვანელი, — სპორტის ოსტატი თემურ ბერიტაშვილი). კარგი იქნება, თუ ამგვარი ღონისძიებები უფრო ხშირად გაიმართება და მონაწილეთა რაოდენობაც გაიზრდება. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ა. ელიბაშვილი, კ. სიდამონიძე (ორივეს, როგორც ყველაზე ნორჩ მონაწილეებს, საჭიდაო ჩოხები გადაეცათ), გ. ფიცხელაური, გ. ბურდული, ჯ. ციხიშვილი, ა. და თ. აბუაშვილები, გ. ძიგურაშვილი და ა. ელიბაშვილი (უფროსი).

**გალინა წიკლაური.**

## რუსთავი

**ქართველ** მეტალურგთა ქალაქში ქართული ჭიდაობის დღე სიჭაბუკისა და სიჩაუქის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ზეიმი, რომლის ეპიცენტრი 21-ე მიკრორაიონის საჭიდაო სარბიელი იყო, შაბათს, 16 მაისს დაიწყო და მეორე დღის ბოლომდე გაგრძელდა. ისე, როგორც ყველგან, შეჯიბრებას აქაც ქართული ჭიდაობის ქომაგები თავკაცობდნენ...

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეტალურგიული ქარხნის მუშამ ბორის კილაძემ, თანამოაზრეები შემოიკრიბა: ხარიტონ კოშტაშვილი — საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" ზეინკალი, ზურაბ რიკაძე — გაერთიანება „აზოტის" ზეინკალი, მშენებელი გიორგი გაფრინდაშვილი, მეფრინველე ტარიელ ყვავილაშვილი და სხვები. ენთუზიასტებმა გადაწყვიტეს უსაქმობისაგან ღობე-ყორეს მოდებული ჭაბუკები დაეინტერესებინათ და ამ მიზნით საჭიდაოს მოწყობას შეუდგნენ. ძირითადად სარბიელის მომავალი ბატონ-პატრონები დაასაქმეს. ახალგაზრდებმა მოზიდეს ქვიშა და ნახერხი. წრეს მერხები შემოავლეს და სარბიელიც მზად იყო. ფალავანთა ორთაბრძოლები აქ კარგა ხანია იმართება, მაგრამ ამჯერად, ქართული ჭიდაობის დღეს, სულ სხვა ეშხი და ლაზათი ჰქონდა შეჯიბრებას. თაოსნებმა თავიანთი ძალებით შექმნეს მედუდუკეთა დასტა. ბრძოლისკენ მომწოდებელმა ჰანგმა წყვილები წრეში იხმო, ასპარეზობა 8-9 წლის ნორჩებმა გახსნეს, შემდეგ მორკინალთა ასაკი თანდათან გაიზარდა და ჭიდაობა მთელი თავისი მშვენებით წარსდგა მაყურებელთა წინაშე.

იმავე დღეებში „აზოტის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ტურნირი სამბოში და გაიმართა მძლეოსანთა რეგიონალური შეჯიბრება, რომელშიც 9 რაიონის გუნდი მონაწილეობდა.

**„ლელოს" საკ. კორ.**

## ცხინვალი

**ქართული** ჭიდაობის დღესთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთში რამდენიმე საინტერესო ასპარეზობა მოეწყო. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება ცხინვალში, პროფკავშირული სპორტსაზოგადოების საჭიდაო არენაზე ჩატარდა. გათამაშდა სამამულო ომში დაღუპული ზნაურელი ფალავნის იასონ კვინიკაძის სახელობის პრიზი. აბსოლუტურ პირველობაში უძლიერესი იყო გორის რაიონის წარმომადგენელი ალექსანდრე გიკაშვილი. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს გია ვახტანგიშვილმა, თამაზ ბიაზროვმა, რამაზ გაბოძემ, მამუკა ბასიშვილმა, სოსო მაისურაძემ, გია ბანგალაძემ და გოჩა ნადირაძემ.

**ლეილა სუბელიანი,**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

## გორი

**ქალაქ** გორსა და გორის რაიონში ფართოდ აღინიშნა ქართული ჭიდაობის დღე. განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც ახლახან გაიხსნა ნახერხმოყრილი საჭიდაო სარბიელი. აქ გამართულ შეჯიბრებაში ქალაქის უძლიერესმა ფალავნებმა იასპარეზეს. საინტერესო შეჯიბრებები მოეწყო შინდისში, კარალეთში, ტყვიავში, მეჯვრისხევში და რაიონის სხვა სოფლებში.

**„ლელოს" კორ.**



## ვანი

ფეხბურთის სტადიონის გვერდით მოწყობილ ნახერხმოყრილ არენას ქართული ჭიდაობის მრავალმა მოყვარულმა მიაშურა. აქ გამართულ შეჯიბრებაზე რაიონის 300-ზე მეტმა მოზარდმა სცადა მკლავის ძალა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

**„ლელოს" კორ.**

---

**ბაზას ვნახეთ, ბაზიერნის...**

**მიმდინარეობს სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ორთვიური**

# დაკეტილი სპორტდარბაზები

**ისეთ** ქალაქში, როგორიც ზუგდიდია, საშუალო სკოლების ღია სპორტული მოედნები და სპორტდარბაზები უქმად არ უნდა ცდებოდეს. დილიდან აქ შეიძლება გამაჯანსაღებელი ჯგუფები შეიკრიბონ, გაკვეთილების შემდეგ სპორტსკოლის სექციების წევრებმა ივარჯიშონ, დღის ბოლოს კი ქალაქის ახალგაზრდებს ჰქონდეთ მკლავისა და მუხლის გაშლის საშუალება, მაგრამ...

ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ გარდავასთან ერთად დღის მეორე ნახევარში რამდენიმე სკოლა მოვინახულეთ და კურიოზული ფაქტის მოწმე გავხდით, სპორტდარბაზები ყველგან დაკეტილი იყო. არც ღია მოედნებიდან ისმოდა მოთამაშეთა შეძახილები. არადა, ამ სკოლების სპორტულ ბაზებზე ორი სპორტსკოლის (განათლების განყოფილებისადმი დაქვემდებარებული და სპორტკომიტეტის) სექციების წევრები უნდა დაგვხვედროდნენ.

ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში შემოწმების დღეს, 15-დან 17 საათამდე და 17-დან 19 საათამდე, ვაჟ კალათბურთელთა ორი სექციის მეცადინეობა იყო დანიშნული, იმავე დარბაზში კი ცხრილით კალათბურთელ გოგონებსაც უნდა ევარჯიშათ, ერთ დარბაზში სხვადასხვა სექციის წევრები ვარჯიშს როგორ ახერხებენ, ეს ჩვენთვის გამოცანად დარჩა, მაგრამ იქ მისულთ არც ერთი ჯგუფი დაგვხვდა და არც მე... ორე.

ქალაქის მე-2 საშუალო სკოლაში ხელბურთელ გოგონათა მეცად... ინეობა არ შემდგარა, მე-4 საშუა... ლო სკოლაში სპორტდარბაზი დაკე... ტილი დაგვიხვდა, თუმცა იმ დრო... ფრენბურთელ გოგონებს უნდა ევა... რჯიშათ.

არც ხელბურთელ ვაჟებს უვარ... ჯიშიათ. დაკეტილი იყო ძალოს... ნობის დარბაზიც, არც მძლეო... სნები შეკრებილან სავარჯიშოდ.

მხოლოდ კომკავშირის პარკში შე... იცვალა სურათი. ბავშვები მხატ... რული ტანვარჯიშისა და ჭიდაობის სექციაში მეცადინეობის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.

იქვე, მშვილდოსნობის სექციის წევრები დამოუკიდებლად ვარჯიშობდნენ, არც მწვრთნელი ყავდათ, არც ვინმე ასაკით უფროსი ადგა... თავზე. მწვრთნელი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაუწვევიათ, შემცვლელი კი ჯერ არ დაუნიშნავ... ნუთუ არ იციან, რომ მწვრთნელის გარეშე ბავშვის სტენდზე სავარჯიშოდ დაშვება სახიფათოა?

— ჩვენ დაწვრილებით შევისწავლით ყოველივე ამის გამომწვევ მიზეზებს და გადამჭრელ ზომებსაც მივიღებთ, — „დაგვამშვიდა" ზუგდიდის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

ზუგდიდი.

---

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

**რედაქციას უპასუხებს თბილისის საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომი**

## „ფული ისევ წყალს მიაქვს"

„ლელოს" 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის („ფული ისევ წყალს მიაქვს") პასუხად გაცნობებთ, რომ 1985 წელს თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის 25-მეტრიან საცურაო აუზში ჩატარდა გასამაგრებელი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, რომლებსაც აწარმოებდა თბილისის საქალაქო საბჭოს სარემონტო-საამშენებლო ტრესტის საბურთალოს რაიონის სარემონტო-საამშენებლო სამმართველო, გარემონტდა ადმინისტრაციული კორპუსი (რემონტი ჩაატარა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მე-2 ტრესტმა).

აუზი თავის დროზე ნაყარ მიწაზე აშენდა და ამის გამო ბევრჯერ გადაკეთება მოითხოვა. კედლები დაბზარული და დაწეულია. აუზის კედლების გასამაგრებლად რაიონის სარემონტო საამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა 9 მეტრის სიღრმის შურფები გაჭრეს და ფუნდამენტი ბეტონით გაამაგრეს. ეს სამუშაო ხელით შესრულდა, ვინაიდან ადგილის სივიწროვე მექანიზმების გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა.

რაც შეეხება აბაზანის ლითონის უჟანგავი ფურცლებით მოპირკეთებას, ამ სამუშაოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშები შედუღების ტექნოლოგიის ყველა წესის დაცვით აწარმოებდნენ.

ლითონის უჟანგავი ფურცლების შედუღების ადგილები დამუშავდა სახეხით და ლითონის ჯაგრისებით, ვინაიდან ნაწიბურების მექანიკური... დამუშავების შემთხვევაში მათი და... ზიანებისა და წყლის გაჟონვის სა... შიშროება შეიქმნებოდა.

აუზში შესასვლელ წყალქვეშა გვირაბში უჟანგავი ფურცლები... კედლების ბოლომდე დაფარვა და აუზის ვიწრო მხრიდან კედლების ამაღლება პროექტით გათვალისწი... ნებული არ იყო. აქვე უნდა ითქ... ვას, რომ პროექტი და ხარჯთაღრი... ცხვა სამმართველომ სამუშაოები... დამთავრების შემდეგ მიიღო, ტექ... ნოლოგიის დარღვევით მოხდა გა... თხრილი შურფების შევსება, რამაც გამოიწვია გრუნტისა და მის ზე... დაპირზე დაგებული მოზაიკური... ფილების დაწევა. დღეისათვის ე... ნაკლი გამოსწორებულია. სამუშა... ოთა მწარმოებელი, ვისი დაუდევ... რობითაც ეს მოხდა, სამსახურიდან მოიხსნა. მოსწორდა ის ადგილიც, სადაც წყლის გუბეები დგებოდა.

სამმართველოს დამატებით გამო... უყვეს უჟანგავი ლითონის ფურც... ლები.

ამჟამად აუზის მიმდებარე ტერი... ტორიაზე წყალქვეშა გვირაბის კე... დლების მოპირკეთება წარმოებს. აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიონის საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მუშები ასფალტს აგებენ... ივნისში, საკავშირო თამაშებისათ... ვის, მშენებლობაზე დაშვებული ყველა ხარვეზი აღმოიფხვრება.

**დ. ჯაფარიძე,**
თბილისის საბურთალოს რაიონ... ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

---

**გულისწყრომის სტრიქონები**

## სად გავატაროთ თავისუფალი დრო?

სოფელი ბაჯითი საჩხერიდან სამიოდე კილომეტრითაა მოშორებული, მაგრამ სოფლის ახალგაზრდები ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, რომ... რვაწლიანი სკოლის პატარა მოედნის გარდა, რომელსაც არ შეიძლება მოედანი ვუწოდოთ. შესაკრები ადგილი არა გვაქვს, თუმცა, არც ის გვარგია, რადგან სკოლის დირექცია „მოედანზე" შესვლას სასტიკად გვიკრძალავს. ისღა დაგვრჩენია, ხანდახან სკოლის ეზოში შევიპაროთ ბურთის სათამაშოდ, რასაც დამლაგებელთან უსიამოვნო ლაპარაკი უნდა მოჰყვეს. დამლაგებელს ხომ სკოლის დირექცია უკრძალავს სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირების შემოშვებას. არადა, იმ დროს, როცა მოსწავლეები ვიყავით, ეს პატარა მოედანი ჩვენი ხელით მოვაწყვეთ.

სოფლის მოძველებულ კლუბშიც შევიხედოთ. აქ წყალი ჩამოდის და არც მინებია ჩასმული, ამის გამო კლუბში კინოს ვერ უჩვენებენ.

რა ვქნათ? სად და როგორ გავატაროთ თავისუფალი დრო? იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ?

**მუხრან სხირტლაძე,**
**სოლომონ აბრამიშვილი.**

სოფელი ბაჯითი.
საჩხერის რაიონი.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

18 მაისს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის მატჩები.

**„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) 1:0 (1:0).**

**თბილისი. 18 მაისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, კუდინოვი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, ცაავა, გურული (კაკილაშვილი, 89), შენგელია (კორღალიძე, 46).**

**„არარატი“: ანტონიანი, კირაკოსიანი, სარქისიანი, ხაჩატრიანი (ვერანიანი, 27), აივაზიანი, ჩილინგარიანი, მარქარიანი, აკოფიანი, ქოჩარიანი, ხაშმანიანი, ქამალიანი (მარკოსიანი, 46).**

**მსაჯი ა. ხპირინი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს ჰედია.**

**დუბლიორები — 2:1. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს ფანცულაიამ (11-მეტრიანი) და თედეევმა.**

თბილისის „დინამოს“ გუშინწინდელ შეხვედრას ერევნის „არარატთან“ ყველანი განსაკუთრებული მღელვარებით ველოდით.

მატჩის პირველი წუთებიდანვე დინამოელებმა დიდი ძალებით შეუტიეს მეტოქის კარს. მათ უკვე მე-3 წუთზე მიეცათ ანგარიშის გახსნის საშუალება, მაგრამ რევიშვილმა და გურულმა ბურთი „ვერ გაიყვეს“. ერევნელთა საჯარიმო მოედანზე დაძაბულობა არ განელებულა, მე-7 წუთზე კი ჩივაძის გამოზომილი პასის შემდეგ ცაავამ ულამაზესი გოლი გაიტანა შორეულ კუთხეში — 1:0.

ამ გოლის შემდეგ თბილისელებმა ტემპს უკლეს. თამაში თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში შუა მინდორში მიმდინარეობდა. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა კვლავ მძლავრად შეუტიეს სტუმართა კარს. ახალი შტურმის დაწყების თავისებურ ნიშნად 35-ე წუთზე რევიშვილის მიერ მეტოქის საჯარიმო მოედნის მარცხენა კუთხეში შესრულებული „სოლო“ იქცა. მან თითქმის ზუსტად გაიმეორა ფინტი, რომელსაც ასე ბრწყინვალედ ასრულებდა უფროსი მიხეილ მესხი. უკან ჩამოიტოვა ორი მცველი და სახიფათოდ ჩააწოდა კარის გასწვრივ. ამას მოჰყვა გურულის შესანიშნავი დრიბლინგი ოთხ მცველს შორის, მაგრამ არაზუსტი დარტყმა. შემდეგ კეტაშვილის რეიდი და ჩაწოდება გურულის მისამართით (კვლავ არაზუსტი დარტყმა). ბოლო წუთზე ცაავა და შენგელია შეიჭრნენ საჯარიმოში, მაგრამ ცაავამ ვერ შეძლო პასის ზუსტად შესრულება.

მეორე ტაიმი თბილისელებმა კიდევ უფრო ცოცხლად, ტემპერამენტით ჩაატარეს. პირველივე წუთზე იგრიალა სტადიონმა როცა, მინდორზე ახალგამოსულმა კორღალიძემ თავს უკან დარტყმით ძელს მოახვედრა ბურთი. კორღალიძე ამის შემდეგაც აქტიურად მოძრაობდა მინდორზე, მას დიდი წვლილი მიუძღვის მეორე ტაიმში ერევნელთა კართან შექმნილ სახიფათო იერიშებში. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში კორღალიძემ ბურთი ჩივაძეს მიაწოდა, კაპიტანი გასცდა მცველს, და რბილად, მაღალი ტრაექტორიით დაარტყა კარიდან წინ გამოსული ანტონიანის კარში. ბურთი კარის ზედა ძელს გადასცდა.

თბილისელთა მიერ შექმნილი სახიფათო მომენტების ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებთ, ეს შორს წაგვიყვანდა. ერთის თქმა კი აუცილებელია: ჩვენს ფეხბურთელებს გაცილებით მეტი გოლი უნდა გაეტანათ და მატჩიც უფრო დიდი ანგარიშით დამთავრდებოდა, რადგან ჩვენს კართან ფაქტიურად არც ერთი საგოლე მომენტი არ შექმნილა, გაბელიას დიდი ჯაფა არ დასდგომია. თბილისელთა თამაში საგრძნობლად გააძლიერეს ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩამდგარმა კეტაშვილმა და კუდინოვმა. ამას ხელი შეუწყო ტაქტიკურმა გადაადგილებებმაც: ჩივაძე და ცვეიბა ამჯერად ნახევარდაცვაში გამოდიოდნენ, ცაავა კი კვლავ შეტევის მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა. ყოველივე ეს ერევნელებთან შეხვედრაში ეფექტური გამოდგა. კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ „დინამოს“ ვეტერანთა თამაში: ჩივაძემ, სულაქველიძემ და შენგელიამ კვლავ დიდი მონდომებით, ენერგიულად იბრძოლეს.

ქებას იმსახურებენ „დინამოს“ გულშემატკივრებიც. ისინი კვლავ მოვიდნენ გუნდის გასამხნევებლად და მთელი 90 წუთის მანძილზე მხარში ედგნენ მას.

**ინტერვიუ მატჩის შემდეგ. გრიგოლ ცაავა.** ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით ვემზადებოდით. ჩვენს გულშემატკივართა წინაშე ვალში ვართ. წარუმატებლად ჩატარებული მატჩების შემდეგ ეს შეხვედრა რომ არ მოგვეგო, არავინ გვაპატიებდა. სწორიც იქნებოდნენ. აქედან გამომდინარე, რა დასამალია, მატჩის წინ საკმაოდ ვნერვიულობდით — ძალიან დიდი იყო პასუხისმგებლობის გრძნობა. ვფიქრობ, შევძელით მღელვარების გადალახვა და თამაშიც უკეთესი გამოგვივიდა. ამაში სტადიონზე მოსულ მაყურებელთა მხარდაჭერაც დაგვეხმარა.

რაც შეეხება გატანილ გოლს, ბურთის მიღებამდე ვგრძნობდი, რომ საგოლე მდგომარეობაში ვიყავი და ისიც ვიცოდი, როგორ უნდა დამერტყა კარში. ჩივაძემაც არ დააყოვნა, ზუსტად მომაწოდა და ჩანაფიქრიც ზუსტად განვახორციელე...

**ზურაბ ფოცხვერია.**



**„გურია“ (ლანჩხუთი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:0 (1:0).**

**ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 18 მაისი.**

**„გურია“: იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე (ჩხაიძე, 88), ფრიდონაშვილი, აკოფიანი.**

**„ნეფთჩი“: ჟიდკოვი, ფედოროვსკი (აზიმოვი, 68), აბდულაევი, მირზოევი, პანჩიკი, სულეიმანოვი, ალავერდიევი (კასუმოვი, 50), გარიბოვი, პონომარიოვი, აჰმედოვი, ჯავადოვი.**

**მსაჯი ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).**

**დუბლიორები — 0:1.**

სატურნირო ცხრილში შექმნილი რთული მდგომარეობა ორივე გუნდს აიძულებდა ძალთა სრული მობილიზებით ეთამაშა, გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებოდათ როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს. მატჩიც შეუპოვარ, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, ორივე მხარემ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო. ლანჩხუთელთა წარმატება ამ მატჩში სავსებით დამსახურებულია, მათ ღირსეულად იბრძოლეს და, არსებითად, უკეთესი ანგარიშითაც შეეძლოთ თამაშის მოგება.

გამოცდილმა ბაქოელებმა პირველივე წუთებიდან შეუტიეს მეტოქეს, ამ პერიოდში „გურიის“ მცველებს და მეკარე იმნაძეს მძიმე სამუშაო ჰქონდათ. მაგრამ მცირე ხანში მდგომარეობა გამოსწორდა, მე-16 წუთზე კი „გურიამ“ სწრაფი კონტრიერიში განახორციელა, მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა ფრიდონაშვილი და კარის წინ ჩააწოდა. გადაცემას დროზე აულო ალლო ხლუსმა, მიუსწრო ბურთს და ახლო მანძილიდან გაგზავნა იგი ჟიდკოვის კარში — 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ ლანჩხუთელი ფეხბურთელები კიდევ უფრო მეტი მონდომებით და აქტიურობით ამოქმედდნენ, ენერგიულად იბრძოდნენ უკლებლივ ყველა რგოლის მოთამაშეები, საერთო კონტროლს არ კარგავდნენ [illegible] ერთ რთულ ვითარებაში.

ტაიმი [illegible] [illegible] ბოდა [illegible] 45-ე წუთზე, როცა „[illegible]“ საჯარიმო მოედანზე შეიჭრა ტყებუჩავა, იგი აკრძალული ილეთით წააქციეს და ს. ჰუსაინოვმა დაუყოვნებლივ დანიშნა 11-მეტრიანი. „გურიას“ დაწინაურების საუკეთესო შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ თავი გამოიჩინა მეკარე ჟიდკოვმა, რომელმაც მოიგერია ფრიდონაშვილის დარტყმა.

შესვენების შემდეგ თამაში ერთხანს მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა, შემდგომში კი ბრძოლა კვლავ გამძაფრდა. ბაქოელებმა რამდენჯერმე მეტად სახიფათოდ შეუტიეს მეტოქეს, კვლავ კარგად ითამაშეს „გურიის“ მცველებმა და მეკარემ, შემდგომში კი მასპინძლებმა კვლავ ხელთ იგდეს უპირატესობა.

ლანჩხუთის „გურიამ“ კვლავ კოლექტიური, კვალიფიციური თამაში გვიჩვენა და ის 2 ქულაც აილო, რომელიც ასე ესაჭიროება. იმედია, გუნდი არ დაკარგავს აღებულ ტემპს.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

• • •

26 მაისს ლანჩხუთში გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის XI ტურის მატჩი, ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოს გუნდები — „გურია“ და „დინამო“. ისინი 2 ივნისს კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად უკვე თბილისში, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე.

7 ივნისს თბილისის „დინამო“ შინ მიიღებს დონეცკის „შახტიორს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, 11 ივნისს კი დინამოელები შინ შეხვდებიან „დნეპრს“, ხოლო „გურია“ — „შახტიორს“.

• • •

**3 ივნისს სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველ ნაკრებს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი აქვს სტუმრად დაგეგმილი ნორვეგიის ეროვნულ გუნდთან. ამ მატჩის საწვრთნელ შეკრებაზე მიწვეულნი არიან თბილისის დინამოელები ა. ჩივაძე და თ. სულაქველიძე.**

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი** — **მდგომარეობა 20 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 10 | 6 | 4 | 0 | 17-5 | 16 | (—4) |
| 2. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 10 | 5 | 4 | 1 | 9-4 | 14 | (—6) |
| 3. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 11 | 5 | 3 | 3 | 13-10 | 13 | (—9) |
| 4. „დინამო“ (მინსკი) | 10 | 4 | 4 | 2 | 11-5 | 12 | (—8) |
| 5. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 10 | 4 | 4 | 2 | 8-7 | 12 | (—8) |
| 6. ცსკა | 10 | 4 | 2 | 4 | 11-10 | 10 | (—10) |
| 7. „დინამო“ (მოსკოვი) | 9 | 3 | 4 | 2 | 7-7 | 10 | (—8) |
| 8. „შახტიორი“ (დონეცკი) | 10 | 2 | 6 | 2 | 7-7 | 10 | (—10) |
| 9. „არარატი“ (ერევანი) | 10 | 4 | 1 | 5 | 8-16 | 9 | (—11) |
| 10. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 11 | 2 | 5 | 4 | 6-14 | 9 | (—13) |
| 11. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 10 | 2 | 4 | 4 | 10-8 | 8 | (—12) |
| 12. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 10 | 3 | 1 | 6 | 5-11 | 7 | (—13) |
| 13. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 10 | 2 | 3 | 5 | 9-13 | 7 | (—13) |
| 14. „გურია“ (ლანჩხუთი) | 9 | 2 | 3 | 4 | 6-10 | 7 | (—11) |
| 15. „დინამო“ (კიევი) | 7 | 2 | 2 | 3 | 12-7 | 6 | (—8) |
| 16. „დინამო“ (თბილისი) | 9 | 2 | 2 | 5 | 7-12 | 6 | (—12) |

**ფეხბურთი**

## სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ განიხილა იმ ფეხბურთელთა საკითხი, რომლებმაც წესრიგი დაარღვიეს საკავშირო შეჯიბრებათა შეხვედრებში.

ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩში მოსკოვის „ტორპედოსა“ და „დინამოს“ შორის, ტორპედოელმა ფეხბურთელმა ვ. გრეჩნევმა უცენზურო სიტყვებით მიმართა არბიტრს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს. ტორპედოელთა საერთო კრებამ გადაწყვიტა 3 კალენდარული მატჩით მიეცა დისკვალიფიკაცია ვ. გრეჩნევისთვის, მაგრამ სპორტტექნიკურმა კომისიამ ეს სასჯელი არასაკმარისად მიიჩნია და ვ. გრეჩნევს 10 მატჩით აუკრძალა ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება.

2 მატჩით დისკვალიფიცირებულია ალმა-ათის „ქაირათის“ ფეხბურთელი ს. ტიმოფეევი, რომელმაც წლეულს მესამე გაფრთხილება დაიმსახურა. მკაცრად გააფრთხილეს „ქაირათის“ გუნდის უფროსი კ. ორდაბაევი, ეს იმიტომ, რომ ს. ტიმოფეევის უდისციპლინობის საკითხი კოლექტივის საერთო კრებამ გაარჩია არა 3-დღიან ვადაში როგორც ეს წესადაა დადგენილი, არამედ უფრო გვიან და მეტისმეტად ლმობიერი სასჯელითაც დაკმაყოფილდა.

ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი ა. გოლოვნია, რომელიც მინდვრიდან გააძევეს.

I ლიგის საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი რიგის „დაუგავასა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის 25 მაისიდან გადატანილია უფრო გვიანი დროისთვის.

### II ლიგა

**18 მაისს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VIII ტურის მატჩები. საქართველოს ყველა გუნდი სტუმრად გამოდიოდა.**

დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის „შევარდენი“-სპი-მ, რომელიც კიროვაბადში შეხვდა ზონის ერთ-ერთ ლიდერს „ქიაფაზს“. თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით — 3:1.

გაიმარჯვა, აგრეთვე, ლიდერმა სამტრედიის „ლოკომოტივმა“. სამტრედიელებმა ლენინაკანში ანგარიშით — 2:0 დაამარცხეს ადგილობრივი „ოლიმპია“.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დილა“ (გორი) 2:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 0:2, „ვოსხოდი“ (სუმგაითი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) — 2:0, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „კოლხეთი“ (ფოთი).

### ევროპის ჩემპიონატი

**V ჯგუფი**

**ბუდაპეშტში** გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნგრეთისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

უნგრელმა ფეხბურთელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს შესარჩევ ჯგუფში — 5:3 (1:1).

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 9 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-8 | 4 |
| პოლონეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 4 |
| კიპროსი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |

## ნინო დუმბაძის მემორიალი

**თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ნინო დუმბაძის მემორიალის ორგანიზატორებმა შვიდჯერ გადას ცეს ჯილდოები გამარჯვებულებს. ამ შვიდ პრიზს შორის ყველაზე საპატიო, რასაკვირველია, ბადროს მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებულს ერგო — ქართველმა მძლეოსანმა ხომ სწორედ ამ დისციპლინაში მოიხვეჭა მსოფლიო სახელი.**

შეჯიბრების რანგს მისი მნიშვნელობა და მონაწილეთა შემადგენლობა განსაზღვრავს. მართალია, ნინო დუმბაძის მემორიალში უცხოელთაგან მხოლოდ რამდენიმე პოლონელი სპორტსმენი გამოვიდა, მაგრამ ამით ასპარეზობას ლაზათი არ დაჰკლებია. საბჭოთა სპორტსმენებს ტყორცნის ყველა სახეობაში დიდი ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული საერთაშორისო ორბიტაზე, როგორც საკავშირო სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა იური ბაკარინოვმა გვითხრა, თბილისში ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი მტყორცნელი, იური სედიხის, ნატალია ლისოვსკაიასა და სერგეი ლიტვინოვის გარდა.

მძლეოსანთა პროგრამა, როგორც უკვე ითქვა, ტყორცნის შვიდ სახეს ითვალისწინებს. „დინამოს“ სტადიონზეც შვიდი სპორტული „მინი-სპექტაკლი“ გაიმართა. დავიწყოთ მთავარი ჯილდოს გათამაშებით.

**ბადროს ტყორცნა. მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის ზდენკა შილხავას (ჩეხოსლოვაკია) — 74,56 მ,** **საბჭოთა კავშირისა — გალინა ერმაკოვას — 73,28 მ, საქართველოსი — ნათელა ლაბაძეს 64,22 მ.**




სარბიელს კვლავ დაუბრუნდა საიდა გუნბა.

ამ სახეობაში მთავარ ფავორიტად მსოფლიოს ექსრეკორდსმენი გალინა ერმაკოვა ითვლებოდა. მაგრამ ახალგაზრდა მინსკელი მტყორცნელის ლარისა კოროტკევიჩის მიერ პირველივე ცდაზე ნაჩვენებმა შედეგმა (64,32 მ) აშკარად შეაცბუნა სახელოვანი სპორტსმენი. ერმაკოვა მეორე ადგილზე დარჩა (63,26 მ) და მემორიალის მთავარი პრიზი კოროტკევიჩს ერგო. 20 წლის ბელორუსი სპორტსმენი პირველად გახდა ასეთი რანგის შეჯიბრების ლაურეატი. მესამე ადგილი სტავროპოლელმა ირინა შაბანოვამ დაიკავა — 61.50 მ.

**ბადროს ტყორცნა. ვაჟები. მსოფლიო რეკორდი. იურგენ შულტი (გდრ) — 74,08 მ, საკავშირო — იური დუმჩევი — 71,86 მ; საქართველოსი — გურამ გუდაშვილი — 62,34 მ.**

მოულოდნელობა მოხდა ვაჟთა შეჯიბრებაშიც. თავდაპირველად დაწინაურდა 31 წლის კიეველი სპორტსმენი დმიტრი კოვცუნი — 62,80 მ. შემდეგ ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორმა ვაცლავ კიდიკასმა, რომელსაც ფავორიტად ასახელებდნენ, 18 სანტიმეტრით გადააჭარბა ამ შედეგს. თუმცა კოვცუნი ვალში არ დარჩენია თავის ახალგაზრდა მეტოქ-

იხ. მე-4 გვ.



## სსრ კავშირის XXIV ჩემპიონატი რეგბიში

# არათანაბარი ძალებით

**თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. 16 მაისი. „შევარდენი“ (თბილისი) — „მშენებელი“ (ქუთაისი) 13:30 (3:18).**

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა, მართალია, ბრძოლის დაძაბულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ რეგბის მოყვარულებმა ამ მატჩში ბევრი საინტერესო ეპიზოდი იხილეს.

მოგეხსენებათ, ქუთაისელებს მაღალი ადგილებისაკენ უჭირავთ თვალი, „შევარდენი“ კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ზრუნავს, გუნდი ფაქტიურად, გამოუვალ მდგომარეობაშია: რვავე თამაში წააგო. ამ მატჩშიც შეუთანხმებლად და დუნედ ითამაშა გუნდის უკანა ხაზმა. იგრძნობოდა ისიც, რომ „შევარდენი“ არათანაბარი ძალის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

ქუთაისელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო შეხვედრის პირველ ნახევარში, მეორე ტაიმში კი მათ აშკარად მოადუნეს ყურადღება. ამით ისარგებლა „შევარდენმა“: ჯერ ბიძინაშვილმა და გოდერძიშვილმა დაამიწეს ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე (კალანდაძემ ზუსტად შეასრულა ერთი რეალიზაცია), შემდეგ თბილისელებმა კიდევ ერთი ჯარიმის გატანა შეძლეს (მიხეილ გარუჩავამ). აი, ასე მოიპოვა „შევარდენმა“ 13 ქულა. „მშენებელს“ კი 30 ქულა აი, რამ მოუტანა: ორ-ორჯერ დაამიწეს ბურთი თავდამსხმელებმა ოდიშარიამ და თხელიძემ. ამ თავდამსხმელების აქტიურობას იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ ჩათვლის მოედანს ძირითადად სამმეოთხედელი მცველები უტევენ. თითოჯერ დაამიწეს ბურთი ძოწენიძემ და შვანგირაძემ. ნუგზარ გაგნიძემ, რომელიც ამჯერად ნახევარმცველის მოვალეობას ასრულებდა, სამი რეალიზაციის გატანა შეძლო.

ერთი სიტყვით, ქუთაისელებმა ანგარიშში 17-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვეს — 30:13. იგრძნობოდა, რომ ისინი ამ თამაშში ძალებს ზოგავდნენ, რადგან შემდეგ შეხვედრას „მშენებელი“ კიევში „ავიატორთან“ ატარებს, გარდა ამისა, ქუთაისელებს პრინციპული მატჩები ელით საკავშირო თასის გათამაშებაში, ამ მატჩმა დაგვარწმუნა, რომ „მშენებელი“ ძალებს გეგმაზომიერად ანაწილებს

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

„შევარდენი“: გვიანიშვილი, ნ. ხვედელიძე, საცერაძე (ბერაძე), კალანდაძე, კომახიძე, გარუჩავა, სურმავა, გეგიძე, გოდერძიშვილი, მაზანაშვილი, ალექსიძე, მარტიროსოვი, თეზელაშვილი (ლვინიაშვილი), ცხადაძე (ბიძინაშვილი), კაპანაძე.

„მშენებელი“: მ. ხარშილაძე, ქორქოლიანი (წივწივაძე), ლიპარტელიანი (დეისაძე), გიორგობიანი, ძოწენიძე, გაბრიჩიძე, ძაგნიძე, ხამაშურიძე, ობოლაძე, გაბიძაშვილი, შვანგირაძე, ლილუაშვილი, ოდიშარია, ნაჭყებია, თხელიძე.

მსაჯი: ზდისლოვას გვაზდინსკასი (ვილნიუსი).

**გაბრიელ გარჯაძე.**

# ერთი მატჩის შუქ—ჩრდილები

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 17 მაისი.**

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) 16:10 (7:6).**

**„ლოკომოტივი“: ი. ლეჟავა; ა. ხვედელიძე, შერაზადიშვილი, მარჯანიშვილი, მეტრეველი; ჩიქვინიძე, ჰეიშვილი; ტყაბლაძე, ჯინჯარაძე, ბაკურაძე, მექვაბიშვილი (ხუადე, 42), კაშია, ბებიაშვილი, ლუდუშაური (ბახილაშვილი, 54), გიუნაშვილი.**

**„ელექტრომაში“: პატულა; ახტახოვი, ბონდარენკო (ლიავინი, 48), ოლარი (რეტიუნსკი, 48), ხოლოვეცკი; შლიუშკინი, ვიუშკოვი; ლიაშკო, იჟანუშკინი, ქრისტოფოროვი, ტიტორენკო, ხაპეგა, კოტოლიჩენკო, შჩემელევი, სტრახი.**

**მსაჯი ვალერი რახტორგუევი (მოსკოვი).**

**გოლები. „ლოკომოტივი“: მეტრეველი — 2 დამიწება (8, 68), ლეჟავა — 2 საჯარიმო (14, 81) და რეალიზაცია (69). „ელექტრომაში“: საჯარიმო (1, შლიუშკინი), არეკნი (29, ხოლოვეცკი) და დამიწება (76, ახტახოვი).**

თამაში თბილისელებისათვის მეტად უიღბლოდ დაიწყო: პირველსავე წუთზე ისინი დაჯარიმდნენ, სტუმრებმა სამქულიანი ფორა მიიღეს. საბედნიეროდ, ამან არათუ დააბნია, არამედ კიდევ უფრო დარაზმა „ლოკომოტივი“ და სანამ იგი 4 ქულით დაწინაურდებოდა, დიდებული თამაში უჩვენა მაყურებელს. მორკინალები ნებისმიერი სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთს მყის უკანა ხაზის მოთამაშეებს გადასცემდნენ, ისინი კი ზედიზედ არღვევდნენ ტირასპოლელთა დაცვის მწყობრ ხაზს. მასპინძლები მეტად აგრესიულად, ლამაზად, საზრიანად თამაშობდნენ, — შეტევას შეტევა ცვლიდა და მაყურებელმაც ბოლოს და ბოლოს ისეთი თამაში იხილა, როგორსაც ამ გუნდისგან დიდი ხანია ელის.

ასე იყო თუ ისე, „ლოკომოტივი“ დაწინაურდა და... აღმაფრენაც გაუნელდა, ამის შემდეგ ტირასპოლელთა ნახევარმცველები განუწყვეტლივ თბილისელთა უკანა ხაზისკენ გზავნიდნენ ბურთს ფეხით. არც ჩვენები რჩებოდნენ ვალში. მეტოქე აგებდა, მაგრამ არ სურდა შეტევა წამოეწყო და არც „ლოკომოტივს“ აძლევდა ამის საშუალებას. ასე რომ, მოედანზე უხეირო პინგ-პონგი გაჩაღდა. და მაინც, იყო ისეთი ეპიზოდები, რომელშიც თბილისელთა თამაშს წუნი არ დაედებოდა. ჩვენები ეფექტურად გზავნიდნენ ბურთს ფეხით ტირასპოლელთა ზურგისაკენ, შემდეგ კი მეტოქეებს ბოჭავდნენ და ბურთსაც ხშირად ართმევდნენ. თუმცა ზოგჯერ თბილისელებიც სცოდავდნენ, განსაკუთრებით — მორკინალები. მართალია, ჩვენი მესამე ხაზი კარგი რეგბისტებისგან შედგება, მაგრამ ამჯერად მათ მეტისმეტი მოუვიდათ: ერთთავად თვითონ იწყებდნენ იერიშს, რის გამოც უკანა ხაზის მოთამაშეები იშვიათად ერთვებოდნენ თამაშში. არადა, საკმარისი იყო მათ ბურთი მიეღოთ, რომ შუა სამმეოთხედელთა წყვილი მყისვე არაშაბლონურად იწყებდა თამაშს და მწვავე მომენტიც იქმნებოდა. სწორედ ამგვარი ორიგინალური თამაშის შედეგი იყო საკუთარი ნახევრიდან წამოწყებული იერიში, 70-მეტრის გარბენის შემდეგ მეტრეველმა გადამწყვეტი ლელოს გატანით რომ დააგვირგვინა. ჩვენებს აუტის მოწოდების დროსაც უჭირდათ ბურთის მომლოდინე ჰეიშვილის დაცვა. ამიტომაც იყო, სულ ბურთის ორი ხელით დაჭერისა და მოლის შექმნის ცდაში რომ იყვნენ, მოლში კი სტუმრები თამაშგარე მდგომარეობის წესებს ხშირად არღვევდნენ.

**ზაალ გიგინეიშვილი.**

# ნინო დუმბაძის მემორიალი

დასასრული

ეს, ასპარეზობის მიწურულს მან თავისი საუკეთესო ცდა შეასრულა (64,98) და გაიმარჯვა. მესამე აცდგალი ლენინგრადელ ევგენი ბუნინს ხვდა წილად — 62,98 მ.

**ბირთვის კვრა. ვაჟები. მსოფლიო რეკორდი. უდო ბაიერი (გდრ) — 22,64 მ; საკავშირო — სერგეი სმირნოვი — 22,24; საქართველოსი — ტარიელ ბიწაძე — 19,92 მ.**

ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ სწორედ ამ სახეობაში მოიყარა თავი.

მოსკოველმა სერგეი გავრიუშინმა მეორე ცდაზე ბირთვი 21,05 მეტრზე ჰკრა და შეაფიქრიანა კიდეც მსოფლიო თასის გათამაშების ვერცხლის პრიზიორი და ევროპის თასის მფლობელი, ლენინგრადელი სერგეი სმირნოვი. მაგრამ მეხუთე ცდაზე სმირნოვი „აფეთქდა“ და წლევანდელ სეზონში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა — 21,74 მ. მესამე ადგილი დაიკავა ტაშკენტელმა სერგეი კოტმა — 20,36 მ.

**ქალები. მსოფლიოსა და სსრ კავშირის რეკორდი. ნატალია ლისოვსკაია (მოსკოვი) — 22,53 მ; საქართველოსი — ალექსანდრა აბაშიძე — 19,82 მ.**

I–II ადგილები ლენინგრადელ მძლეოსნებს ნატალია ახრიმენკოსა და ლარისა პელეშენკოს დარჩათ. გაიმარჯვა ახრიმენკომ — 20,78 მ. მისმა თანაგუნდელმა 20,48 აჩვენა. მესამე ადგილზე გავიდა მოსკოველი ვალენტინა ფედიუშინა — 20,28 მ.

**შუბის ტყორცნა. ქალები. მსოფლიო რეკორდი. ფატიმა უაიტბრედი (დიდი ბრიტანეთი) — 77,44 მ; საკავშირო — გალინა ბირიულინა — 70,08; საქართველოსი — საიდა გუნბა — 68,28 მ.**

ტრავმით გამოწვეული ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ სექტორში ისევ ვიხილეთ საიდა გუნბა. იგი მეექვსე იყო — 56,90, გუნბას მწვრთნელი ილია გიგაური თვლის, რომ დასაწყისისათვის ეს ურიგო შედეგი არ არის.

პირველი ადგილისათვის ბრძოლა კი ორ თანაგუნდელს — მოგილოველ ნატალია ერმოლოვიჩსა და მინსკელ ნატალია შიკოლენკოს შორის მიმდინარეობდა. საკმაოდ დაბალი შედეგით გაიმარჯვა ერმოლოვიჩმა — 62,26 მ. შიკოლენკომ 61,12 მ. აჩვენა, მესამე ადგილზე გასულმა სტავროპოლელმა ლარისა ავდეევამ — 58,64 მ.

**ვაჟები (ახალი მოდიფიკაციით). მსოფლიო რეკორდი. კლაუს ტაფელმაიერი (გფრ) — 85,74 მ, საკავშირო — ვიქტორ ევსიუკოვი — 83,68 მ; საქართველოსი — გენადი არჯევანიძე — 72,20 მ.**

ქვეყნის რეკორდსმენი ვიქტორ ევსიუკოვი, რასაკვირველია, გამარჯვების პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ სპეციალისტები [illegible] ინტერესით ელოდნენ ევროპის 1982 წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსან ვენიამინ [illegible] გამოჩენასაც. ტალინელმა სპორტსმენმა მხოლოდ ერთი ცდა შეასრულა (შემდეგ ხელი იტკინა), მაგრამ ეს გამარჯვებისათვის საკმარისი აღმოჩნდა — 80,62 მ. ევსიუკოვს მეორე ადგილი ხვდა — 79,96 მ. მესამე იყო უკრაინელი სერგეი გავრასი — 79,48 მ.

**უროს ტყორცნა. მსოფლიოსა და სსრ კავშირის რეკორდი. იური სედიხი (კიევი) — 86,74 მ, საქართველოსი — ჯუმბერ ფხაკაძე — 77,64 მ.**

იური სედიხისა და სერგეი ლიტვინოვის შემდეგ, რომლებიც თბილისში არ გამოდიოდნენ, ლენინგრადელი იგორ ნიკულინი უძლიერეს უროს მტყორცნელად ითვლებოდა საბჭოთა კავშირში. ამ შეჯიბრებაში მას მართლაც არ ჰყავდა ბადალი — 80,76 მ. მეორე ადგილზე გავიდა ბენას ვილუცკისი (კლაიპედა) — 78,82 მ, მესამეზე — იგორ ასტაპოვიჩი (ნოვოპოლოცკი) — 78,58 მ.

საიდა გუნბას გარდა ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში 14 მძლეოსანი მონაწილეობდა. თითქმის ყველანი ჭაბუკთა და იუნიორთა ასაკისანი იყვნენ და, რასაკვირველია, მეტოქეებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ნინო დუმბაძის მემორიალი თბილისში პირველად ჩატარდა და ამიტომ მასპინძლები განსაკუთრებული გულისყურით უძღვებოდნენ შეჯიბრებას. საკავშირო სპორტსახკომის კომისიის წევრთა აზრით, ასპარეზობა კარგად ჩატარდა, მხოლოდ მემორიალის საზეიმო გახსნას დაეტყო ხარვეზი.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**




# ლატარია „სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

**● მოგების განსაზღვრის ახალი ხერხის ექსპერიმენტი ● განცხადება მოგების შესახებ უნდა გაკეთდეს დადგენილ ვადაში ● ტირაჟში მონაწილე ბილეთები მიიღება ყოველ ოთხშაბათს, 17 საათამდე. „სპორტლოტოსთან“ არსებულ ცენტრში — ოთხშაბათს, 18 საათამდე.**

**იმასთან** დაკავშირებით, რომ ლატარია „სპორტპროგნოზში“ მონაწილეობის მისაღებად შემოდის ბილეთების ძალზე დიდი რაოდენობა, იქმნება ლატარიის ტირაჟისშემდგომ დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური სიძნელეები. სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა ქვეყნის რიგ სამმართველოებში, - მათ შორის საქართველოშიც, ჩაატაროს მოგების განსაზღვრის ახალი ხერხის ექსპერიმენტი.

1987 წლის 22-ე ტირაჟიდან მოთამაშე ტირაჟის გამოცხადებული შედეგის მიხედვით თავად განსაზღვრავს მოგებულ ბილეთს, შემდეგ, თვითონ, ან რწმუნებული პირის საშუალებით მოგებული ბილეთის „ა“ ნაწილს წარმოადგენს შესამოწმებლად და მოგებათა ოფიციალურ ცხრილში ჩასართველად.

სპეციალურ უწყისში ბილეთის ნომრის შეტანისა და მისი შტამპით დამოწმების შემდეგ იგი უბრუნდება მფლობელს, როგორც მოგების მისაღები საბუთი. მოგებები გაიცემა შემდეგი წესით: 500 მანეთამდე — შემნახველ სალაროში. 500 მანეთის ზევით — სპორტული ლატარიების სამმართველოში გაფორმებული სპეცდავალებით.

მოგებული ბილეთების რეგისტრაცია იწარმოებს მიმდინარე ტირაჟის თამაშების დამთვრებისთანავე ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში, კვირა დღის ჩათვლით.

თუ განცხადება მოგების შესახებ არ გაკეთდება დადგენილ ვადაში, „ა“ ნაწილის მფლობელი კარგავს მოგებას და ამ საკითხზე არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

თუ არ გინდათ, რომ დაკარგოთ მოგება, იყავით განსაკუთრებით ყურადღებიანი. კარგად დაიხსომეთ, რომ ბილეთის სამივე ნაწილი, „ა“ ნაწილის ჩათვლით, უნდა შეივსოს ყოველგვარი შეცდომისა და გადასწორების გარეშე. ბილეთის „ა“ ნაწილზე აუცილებლად უნდა იყოს საზოგადოებრივი გამავრცელებლის მიერ ბილეთის მიღებისას დასმული პირადი ნომრიანი შტამპის ანაბეჭდი, ანაბეჭდის გარეშე ბილეთი სარეგისტრაციოდ არ მიიღება.

გთავაზობთ იმ პუნქტების მისამართებსა და სამუშაო საათებს, სადაც განხორციელდება ბლანკების გაყიდვა, ბილეთების მიღება და მოგების რეგისტრაცია: სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრი („საქსპორტლოტო“, ელიავას ქ. № 26), ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (ა. წერეთლის პროსპექტისა და საგურამოს ქუჩის კუთხე, №№ 12, 13, 14, 15, 16 სალაროები), სპორტის სასახლისა და ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის სალაროები, აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ № 6 მაღაზია „სხივი“ (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 44).

სამუშაო საათებია 10-დან 17-საათამდე შაბათისა და კვირის ჩათვლით.

ტირაჟში მონაწილე ბილეთები მიიღება (ბოლო ვადა) ყოველი ოთხშაბათის 17 საათამდე, „სპორტლოტოს“ სამმართველოსთან არსებულ ცენტრში ოთხშაბათს 18 საათამდე.

მოგებული ბილეთების რეგისტრაციის ბოლო ვადაა კვირას 17 საათამდე.

გარდა ამისა, ლატარია „სპორტპროგნოზის“ ბლანკების შეძენა და შევსებული ვარიანტების ჩაბარება შეიძლება აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ შემდეგ მაღაზიებში: № 3 „საუნჯე“ (ა. წერეთლის პროსპ. № 113), № 4 „ნაპერწკალი“ (ა. წერეთლის პროსპ. №17), №7, „ცისკარი“ (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, მიწისქვეშა გასასვლელი „გამარჯვების“ პარკთან), № 13 „შატილი“ (ნუცუბიძის I პლატო, 12 ა კორპუსი). მოგებული ბილეთების რეგისტრაცია აქ არ იწარმოებს.

ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებით: 34-20-00, 34-38-00, 34-51-72.

**საქსპორტლოტო.**

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

1. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე — 1 ერთეული, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობის გამოცდილების მქონე;
2. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობის გამოცდილების მქონე;
3. სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნიერებათა კანდიდატი (ისტორიის სპეციალობით);
4. სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი — 0,25 ერთეული, მეცნიერებათა კანდიდატი (ისტორიის სპეციალობით);
5. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის დოცენტი — 0,25 ერთეული, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (სპორტული ფსიქოლოგიის სპეციალობით);
6. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, ჰადრაკის სპეციალობით;
7. ჭიდაობის კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნიერებათა კანდიდატი, ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობის გამოცდილების მქონე;
8. საწყლოსნო სპორტის კათედრის მასწავლებელი — 0,5 ერთეული (წყალბურთის სპეციალობით);
9. საწყლოსნო სპორტის კათედრის მასწავლებელი — 0,5 ერთეული (ნიჩბოსნობის სპეციალობით);

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 49. კადრების განყოფილება, ტელეფონი: 23-09-05, 23-20-08.

**რექტორატი.**

გაზეთ „ლელოს“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს რედაქციის თანამშრომელს პეპო ბოჭორიშვილს მამის

**ექვთიმე დავითის ძე ბოჭორიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 06922